



სსიპ ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

24 06 2019 წ.

ბრძანება № 2-149

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში საშემოდგომო გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 36-ე მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებისა და სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების მიხედვით საშემოდგომო გამოცდის ჩატარების განრიგი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:


/ელზა ბადაშვილი/